ხელშეკრულება № 86სბ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV -79952000)

ერთი მხრივ, **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი** (სკ-211358957), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „4მედია"** (სკ-402008019) შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**", წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი კენჭუაშვილის** სახით ორივე, ერთად წოდებული როგორც **„მხარეები",** ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2.ხელშეკრულების საგანი
სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტი „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა" ფარგლებში ესეების კონკურსის ონლაინ ღონისძიების ორგანიზების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.
(CPV - 79952000)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **944.00** (ცხრაას ორმოცდაოთხი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

3.2ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს, სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის მიერ, **2022 წლის 20 მაისს გასამართი სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტი „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა" ფარგლებში ესეების კონკურისის-ონლაინ ღონისძიების ორგანიზება**, რაც მოიცავს **პროგრამულ უზრუნველყოფასთან და ტექნიკურ მხარდაჭერასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევას და გულისხმობს შემდეგს:** „zoom" (www.zoom.us) -ის ოფიციალური ლიცენზიის ("Small and med Business") პაკეტის მიწოდება კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში - 1 დღე, 1 სექცია, 17:00 საათიდან 19:00 საათამდე; პაკეტი უნდა მოიცავდეს არანაკლებ **50 (ორმოცდაათი) მომხმარებლის და 1 ადმინისტრატორის (host) ერთდროულ ჩართვას** 2 საათის მანძილზე უწყვეტად; პაკეტი უნდა იძლეოდეს 1(ერთი) სესიის გაშვების საშუალებას; პაკეტი აგრეთვე უნდა მოიცავდეს ყველა საბაზო ფუნქციონალს, რაც პროგრამის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არის მოყვანილი და ყველა იმ დამატებით (ოპციურ) ფუნქციონალს, რაც მიმდინარე ამოცანების ყველა პუნქტის მაქსიმალურად სრულყოფილად მოსაგვარებლად არის საჭირო;

ბ) უზრუნველყოს ტექნიკური მხარდაჭერა, კერძოდ, გამოყოს მინიმუმ 1(ერთი) თანამშრომელი, რომლიც ეროვნულ არქივში ღონისძიების მიმდინარეობისას არქივის შენობაშივე უწყვეტად გაუძღვება სესიას. მისი ფუნქციები მოიცავს სესიის მსვლელობისას სრულ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, მათ შორის: დამსწრეების მართვა, მომხსენებლების მართვა, ღონისძიების ჩაწერა ვიდეო და აუდიო ფაილებში და სხვა ადმინისტრირების ფუნქციებს. დამსწრეების და მომხმარებელების მართვაში იგულისხმება: მიკროფონების და კამერების ჩართა-გამორთვა, ფაილების/დესკტოპის გაზიარება, კითხვა-პასუხის რეჟიმების მართვა და სხვა.

ვ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ზ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა)უზრუნველყოს ტექნიკური აღჭურვილობა: კომპიუტერები, ყურსასმენები, მიკროფონები და ვებკამერები;

ბ)უზრუნველყოს მაღალი ხარისხის კაბელიანი ინტერნეტი, რათა არ მოხდეს ინტერნეტის წყვეტა;

გ)უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

Giorgi Kentchuashvili 01005025574
Digitally signed by Giorgi Kentchuashvili
Date: 2022.05.17 14:22:16

5.მომსახურების ხარისხი

გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის, შეესაბამებოდეს არსებულ სფეროში დადგენილ სტანდარტებს და წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მაჩვენებლებს.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად;

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივის **სამეცნიერო განყოფილების უფროსი, ქეთო ასათიანი ან/და მისი მოვალეობის შემსრულებელი;**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აღმოფხვრას არსებული ხარვეზი/წუნი.

7.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 გაწეული მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე;

8.ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო - 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები;

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება -ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მიერ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადებისა და პირობების დარღვევის, ან/და 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

10.2 ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით;

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილი წესის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში;

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან;

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

15.ფორს -მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით;

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1,
ტელეფონი: 238-14-25,
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგ.№ GE24NB0330100200165022;
ს/კ - 211358957

მიმწოდებელი

შპს „4მედია"
მისამართი: ქ. თბილისი, ეგნატე და ვახტანგ ფიფიების ქუჩა №5, **ტელეფონი:** 555132000;
ელ.ფოსტა: giorgi.kenchuashvili@4media.ge;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი" ბანკი;
ანგ.№ GE74TB7921936080100003,
ს/კ - 402008019